# ქალაქ თბილისის
# მუნიციპალიტეტის საკრებულო

## დადგენილება № 36-7

„25" იანვარი 2019 წ

ქ. თბილისი

**„დედაქალაქის მიწათსარგებლობის გენერალური გეგმის დამტკიცების შესახებ" ქ.თბილისის მუნიციპალიტეტის საკრებულოს 2014 წლის 30 დეკემბრის №20-105 დადგენილებაში ცვლილების შეტანის თაობაზე**

საქართველოს ორგანული კანონის „ადგილობრივი თვითმმართველობის კოდექსი" 61-ე მუხლის მე-2 პუნქტისა და „ნორმატიული აქტების შესახებ" საქართველოს ორგანული კანონის მე-20 მუხლის თანახმად, ქალაქ თბილისის მუნიციპალიტეტის საკრებულო ადგენს:

მუხლი 1.

შეტანილი იქნას ცვლილება „დედაქალაქის მიწათსარგებლობის გენერალური გეგმის დამტკიცების შესახებ" ქ. თბილისის მუნიციპალიტეტის საკრებულოს 2014 წლის 30 დეკემბრის №20-105 დადგენილებაში (სსმ, ვებგვერდი: www.matsne.gov.ge, 06/01/2015, სარეგისტრაციო კოდი: 010260030.35.101.016099) და დადგენილების პირველი პუნქტით დამტკიცებული დედაქალაქის მიწათსარგებლობის გენერალური გეგმის გრაფიკული ნაწილი - რუკა (ფუნქციური ზონები) ჩამოყალიბდეს თანდართული სახით (თან ერთვის ცვლილების საინფორმაციო მასალა).

მუხლი 2.

დადგენილება ამოქმედდეს გამოქვეყნებისთანავე.

ქალაქ თბილისის მუნიციპალიტეტის
საკრებულოს თავმჯდომარე — გიორგი ტყემალაძე

# ფუნქციური ზონები



ცვლილების საინფორმაციო მასალა





არსებული ფუნქციური ზონის კონტური



კორექტირებული ფუნქციური ზონის კონტური

სპეციალური ზონა-1(სპეცზ-1) (არსებული ზონა **14207** კვ.მ.)

სამრეწველო ზონა-2 (ს-2) (კორექტირებული ზონა **14207** კვ.მ.)

**1. ქალაქ თბილისში, ქიზიყის ქუჩის N27-ში არსებულ მიწის ნაკვეთზე (საკადასტრო კოდი: 01.19.24.007.030, ნაკვ. 07/030, ფართობი: 14207 კვ.მ); ფუნქციური ზონის ცვლილება განაშენიანების რეგულირების გეგმის შესაბამისად;**

**N011833547-67**



არსებული ფუნქციური ზონის კონტური



კორექტირებული ფუნქციური ზონის კონტური

ლანდშაფტურ-სარეკრეაციო ზონა (ლსზ) (არსებული ზონა **447** კვ.მ.)

სარეკრეაციო ზონა-2 (რზ-2) (არსებული ზონა **16** კვ.მ.)

სატრანსპორტო ზონა-1(ტზ-1) (კორექტირებული ზონა **463** კვ.მ.)

**2. ქალაქ თბილისში, ზაალ დუმბაძის ქუჩა №8, ზაალ დუმბაძის ქუჩა N22, გერგეთის ქუჩის ბოლოს (სოლოლაკის რეზერვუარი), შესახვევი გერგეთი N3, გერგეთის შეს. N3-ის მიმდებარედ, გასასვლელი გერგეთი N8-ში არსებული მიწის ნაკვეთების (საკადასტრო კოდი: N01.15.05.070.057, N01.15.07.006.039, N01.15.05.070.071, N01.15.05.070.002, N01.15.05.070.015) მიმდებარედ (ფართობი: 463 კვ.მ); ლანდშაფტურ-სარეკრეაციო ზონის (ლსზ) და სარეკრეაციო ზონა 2-ის (რზ-2) სატრანსპორტო ზონა 1-ით (ტზ-1) ცვლილება N01183312830-67**



ᲐᲠᲡᲔᲑᲣᲚᲘ ᲤᲣᲜᲥᲪᲘᲣᲠᲘ ᲖᲝᲜᲘᲡ ᲙᲝᲜᲢᲣᲠᲘ



ᲙᲝᲠᲔᲥᲢᲘᲠᲔᲑᲣᲚᲘ ᲤᲣᲜᲥᲪᲘᲣᲠᲘ ᲖᲝᲜᲘᲡ ᲙᲝᲜᲢᲣᲠᲘ

სამრეწველო ზონა-1 (ს-1) (არსებული ზონა **2330** კვ.მ.)

საზოგადოებრივ-საქმიანი ზონა-2 (სსზ-2) (კორექტირებული ზონა **2330** კვ.მ.)

**3. ქალაქ თბილისში, მექანიზაციის ქუჩის, N1-ში (ნაკვეთი 02/001) არსებულ მიწის ნაკვეთის (საკადასტრო კოდი: N01.12.12.002.001) ნაწილზე (ფართობი: 2330 კვ.მ) სამრეწველო ზონა 1-ის (ს-1) საზოგადოებრივ-საქმიანი ზონა 2-ით (სსზ-2) ცვლილება**

**N01183313182-67**